

შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
აქტივები			
გრძელვადიანიაქტივები			
ძირითადი საშუალებები	576487	774912	816941
არამატერიალური აქტივები		831	2286
	576487	775743	819227
მოკლევადიანიაქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებულ იინსტრუმენტები	34229	512515	28246
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2480683	1959932	1797551
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	187808	156799	90052
	2702720	2629246	1913869
მთლიანიაქტივები	3279207	3404989	2733096
მთლიანიკაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	48600	48600	48600
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2816328	2688654	2152874
	2864928	2737254	2201474
ვალდებულებები			
გრძელვადიანივალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	13764	203393	205063
გადასახდელი პროცენტი	3523	225142	194948
სხვა ვალდებულებები			
	17287	428535	400011
მოკლევადიანივალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	360647	207636	108649
საგადასახადო ვალდებულებები	36345	31564	22962
	396992	239200	131611
მთლიანი ვალდებულებები	414279	667735	531622
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	3279207	3404989	2733096

დირექტორი:
დავით ჭედია



ბუღალტერი:
თამარ ბერიშვილი



შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება


	12/31/2020	12/31/2021
ამონაგები	3372745	2409134
თვითღირებულება	(1633032)	(916244)
საერთომოგება	1739713	1492890
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(694174)	(541431)
სხვა ხარჯები	(174821)	(684222)
საოპერაციომოგება	870718	746588
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	11830	2375
მოგება დაბეგვრამდე	882548	748963
მოგების გადასახადი	(52031)	(93193)
წმინდა მოგება	830517	655770
სხვა სრული შემოსავალი		
საკუთარი კაპიტალი პერიდის დასაწყისში	2201474	2737254
გაცემული დივიდენდი	(294737)	(528096)
მთლიანი სრული შემოსავალი	2737254	2864928

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

დირექტორი:
დავით ჭედია



ბუღალტერი:
თამარ ბერიშვილი



შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯორჯიან ინდასტრი (შემდგომში „კომპანია“) არის 09/06/2016-ში რეგისტრირებული იურიდიული პირი, კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ო. ლორთქიფანიძის #18

კომპანიის წილი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განაწილებულია შემდეგნაირად:
დავით ჭედია (პ/ნ 01010007367) – 100%.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ბიტუმის ემულსიის წაემოება/რეალიზება/ტრანსპორტირება. ბიტუმის ემულსიის საწარმო მდებარეობს გარდაბნის რ/ნი, სოფელ მარტყოფში.

კომპანიას ძირითადი საქმიანობის გარდა ასევე აწარმოებს ფრეზირების მომსახურებას.

2. ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის“ სამსახურში წარსადგენად, ამავე სამსახურის მიერ დადგენილი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია IFRS for SME სტანდარტების შესაბამისად

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ საწყის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

► მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი

საოპერაციო ციკლის განმავლობაში


► ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა

► მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდთან თორმეტი თვის განმავლობაში

ან

დირექტორი:
დავით ჭედია

ბუღალტერი:
თამარ ბერიშვილი



შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისიგადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვისგანმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში

▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა

▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში

ან

▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადებისუპირობო უფლება არ არსებობს

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის სამუშაო ვალიუტაა ლარი, რადგანაც ის არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალიუტა რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალიუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება საანგარიშგებო თარიღში ხორციელდება ამ თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

საკურსო სხვაობებით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის მუხლში

გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს 2.8677 (USD/GEL)

გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს 3.2766 (USD/GEL)

გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს 3.0976 (USD/GEL)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

დირექტორი:
დავით ჭეღია



ბუღალტერი:
თამარ ბერიშვილი



შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად ან გასაცემად. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, აღირიცხება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგება ან ზარალში ასახვით (სლაფა) აქტივები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა.

სლაფა ფინანსური აქტივების ხელახალი შეფასებისას წარმოქმნილი მოგება ან ზარალი მოიცავს ნებისმიერ დივიდენდს ან გამომუშავებულ საპროცენტო სარგებელს და აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა: როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია და თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით.

სამართლიანი ღირებულების აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (სლაფა) ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან

დირექტორი:
დავით ჭეღია

ბუღალტერი:
თამარ ბერიშვილი



შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი წრფივი მეთოდით.

თავდაპირველად აღიარებული ამათუი ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარა ამოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი, (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

არამატერიალურია ქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით.


თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალურია ქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე, სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა 5დან-10 წლამდე. კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა

დირექტორი:
დავით ჭელია



ბუღალტერი:
თამარ ბერიშვილი



შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდ ფას სგამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა FIFO მეთოდს და მოიცავს შეძენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, გადახდის ფაქტიური თარიღისა და პერიოდის დამოუკიდებლად. საქართველოს საგადასახადო დაბეგვრის სისტემის თავისებურების გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის არწარმოიქმნება რაიმე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ. გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი, რომელიც ექვემდებარება გადახდას კომპანიის დამფუძნებლებისთვის დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით, აღიარებულია კაპიტალში ცვლილების ანგარიშში გამოქვითვის სახით.

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოღინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა; კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი; ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

დირექტორი:
დავით ჭელია



ბუღალტერი:
თამარ ბერიშვილი



შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულების ფასისგან ანსაზღვრისას, იმვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო მონაცემები.

(დამატებითი კომენტარები)


ძირითადი საშუალებები

	მიწა	ქარხანა - დანადგარები	მანქანა- დანადგარები	ავტო და სხვა ინვე ნტარ ი	საოფის ე აღჭურვ ილობა	საწარმოო საშუალებე ბი	სატრანსპო რტო საშუალებები	სხვა	არამა ტერი ალურ ი აქტივ ი	სულ
01/01/2019	80432	210398	197113	688	1842	148333	5639	45673	3736	693834
შემენა/გაუმჯობეს ება	206900		85058	466		29987				354586
გასხვისება	45783						32175			45783
გასვლა										
ცვეთა		64069	61218	620	829	39661	4745	10817	1451	183410
	241549	146329	220953	514	1013	138659	33069	34856	2285	819227
01/01/2020										
შემენა/გაუმჯობეს ება			128476	1049		508	35474			190100
გასხვისება							18890			18890
გასვლა										
ცვეთა		64245	68636	1096	684	41845	1293	10847	1455	137007
	241549	82084	280793	467	329	97322	48360	24009	831	775743
01/01/2021										
შემენა/გაუმჯობეს ება					2440		33000			
გასხვისება							46958			
გასვლა										
ცვეთა		64245	64636	467	828	41845	4040	10847	831	186758
1/1/2022	241549	17839	216157	0	1941	55477	30362	13162	0	576487

დირექტორი:
დავით ჭელიძე



ბუღალტერი:
თამარ ბერიშვილი



შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31/12/2020	31/12/2021
მარაგები		
ნედლეული და მასალები	150622	158127
მზაპროდუქცია	6177	29681
სახარჯი მასალა		
დამხმარე მასალები		
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	156799	187808

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31/12/2020	31/12/2021
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	136307	317146
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	36990	42000
მიღებული ავანსები	1339	1501
საგადასახადო ვალდებულებები	31564	36345
სულ კრედიტორული დავალიანება	239200	396992

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31/12/2020	31/12/2021
სავაჭრო მოთხოვნა	1959106	2422064
გაცემული ავანსები	826	58619
სულ საგადასახადო ვალდებულებები	1959932	2480683

კაპიტალი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შეადგენს **2 864 928** ლარს, მათ შორის: საინვესტიციო კაპიტალი - 48600 ლარი, გაუნაწილებელი მოგება - 2 816 328 ლარი. კომპანიის მიერ წარმოდგენილი ანგარიშგების პერიოდში გაცემული დივიდენდი შეადგენს - 528096 ლარს.

დირექტორი:
დავით ჭედია



ბუღალტერი:
თამარ ბერიშვილი